

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2018 წლის — ივნისი

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში ჰაიდარ აბაშიძისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ძმები აბაშიძეების მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ძმები აბაშიძეების (ჰაიდარ აბაშიძე, იუსუფ აბაშიძე, ყადირ აბაშიძე, ომერ აბაშიძე, ოსმან აბაშიძე, სალიხ აბაშიძე) ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ბათუმში, ჰაიდარ აბაშიძისა და ფარნავაზ მეფის ქუჩების კვეთაში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ (ლაშა კომახიძე) განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე